

თვითმმართველი ქალაქი  
თელავის მუნიციპალიტეტის  
საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების  
საკონკურსო კომისიის სხდომის  
ოქმი N3

ქ. თელავი

15.12.2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზურაბ ჯავახიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე,
2. ვახტანგ გაგნიძე - კომისიის წევრი,
3. ნათია ვაყელიშვილი - კომისიის წევრი,
4. ზაქარია ბუტულაშვილი - კომისიის წევრი,
5. ნიკოლოზ ზაზუნაშვილი - კომისიის წევრი

**დღის წესრიგი:** თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის მიერ ისტორიული დაზიანებული შენობების კვლევა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული კონკურსის N1434 შედეგების განხილვა.  
დაფინანსების წყარო - 2014-2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

**განხილეს:** თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტისთვის ისტორიული დაზიანებული შენობების კვლევა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვისთვის გამოცხადებული კონკურსში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადა დასრულდა 2014 წლის 12 დეკემბერს 16 საათზე. კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია არცერთ პრეტენდენტს, რის გამოც კონკურსი არ შედგა. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ა) ქ. თელავში, ერეკლე II გამზ. N4-ში მდებარე შენობაში ამჟამად განთავსებული სამხატვრო სკოლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ბ) ქ. თელავში, ელენე ახვლედიანის ქ. N12-ში ორსართულიანი აგურის სახლის შენობის ნაწილის, აივნის და კიბის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 9000 ლარი. მიწოდების ვადა 2015 წლის 12 მარტამდე.

დაადგინეს:

1. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად კონკურსი არ შედგა.
2. ეცნობის აღნიშნულის თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

1.  შ. ჯავახიშვილი

2.  ვ. გაგნიძე

3.  ნ. ვახეიშვილი

4.  შ. ბუტულაშვილი

5. ნ. ზაზუნაშვილი

ვინაიდან კომისიის წევრი ნ. ზაზუნაშვილი არ ესწრებოდა სხდომას, მას ეცნობა წინამდებარე ოქმში აღნიშნულის თაობაზე, რაზეც მას სხვა დამატებითი მოსაზრება არ გამოუთქვამს.